მრავალი შეტევის მიუხედავად...

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (მოსკოვი) 0:0.

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჯოხაძე (მინაშვილი), შენგელია.

"ტორპედო": ჩანოვი, კრუგლოვი, ჟუპიკოვი, გოსტენინი, პოლუკაროვი, პეტრენკო (გალაიბა), პეტრაკოვი, რადენკო, სოლოვიოვი, სუსლოპაროვი, რედკოუსი (სახაროვი).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

თამაშს დაესწრო 50.000 მაყურებელი.

მატჩს წინ უძღოდა თბილისის დინამოელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. დასავლეთ ტრიბუნის წინ აღმართულ პოსტამენტზე დადგმული იყო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, რომელიც ჩვენმა გუნდმა მოიპოვა. სარბენ ბილიკზე მოეწყვნენ გამარჯვებულები, მარშის ხმაზე მინდორზე შემოვიდნენ ნორჩი ფეხბურთელები, აგრეთვე გოგონები ყვავილების თაიგულებით ხელში.

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებს სპორტის დამსახურებული ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების წოდება მიულოცეს, შესაბამისი ნიშნები და მოწმობები გადასცეს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ და საამისო მისიით მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულმა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. იაშინმა. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნიშნით დაჯილდოვდა თბილისის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი.

დაჯილდოების შემდეგ საპატიო თასით ხელში სტადიონის სარბენ ბილიკს წრე შემოურბინეს თბილისის დინამოელებმა.

დაიწყო მატჩი. საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიდერთან - მოსკოვის "ტორპედოსთან" თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. უკვე პირველ წუთებზე მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა კოსტავას, ჩივაძეს, შენგელიას, შუა ტაიმში დინამოელთა იერიშებმა განუწყვეტელი შტურმის ხასიათი მიიღო, ტორპედოელთა დაცვა და მეკარე ჩანოვი განუწყვეტელ საქმიანობაში იყვნენ. უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, მაგრამ გავიდა ეს 45 წუთიც და გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა.

უნდა ითქვას, რომ მოსკოველებმაც განახორციელეს რამდენიმე მეტად სახიფათო კონტრშეტევა, კერძოდ, წარმატებების კარგი შანსი ჰქონდათ სუსლოპაროვსა და სახაროვს.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხარკოველი მსაჯი ი. სერგიენკო ლიბერალობას იჩენდა იმ შემთხვევებში, როცა ტორპედოელთა მოთამაშეები აკრძალულ ილეთებს მიმართავდნენ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გუშინდელ მატჩს დაესწრო ცნობილი მეკარე ლევ იაშინი. ჩვენ ვისარგებლეთ ამით და ვთხოვეთ ვეტერანს თავისი მოსაზრებანი გამოეთქვა მატჩზე:

- რა თქმა უნდა - თქვა ლ. იაშინმა, - უამინდობამ და დინამოელთა ლიდერის დავით ყიფიანის არყოფნამ დაღი დაამჩნია მთელ თამაშს. მიუხედავად ამისა, თბილისელებს არაერთი

ხელსაყრელი მომენტის ჰქონდათ ტორპედოელთა კარის ასაღებად, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები არაზუსტი იყო. საერთოდ, თამაში საინტერესო გამოდგა, საყურებლად იგი ძალზე დაძაბული და მიმზიდველი იყო.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ტორპედოელებზეც. იგი ახლა შემთხვევით არ იმყოფება ლიდერთა შორის.

რაც შეეხება ცალკეულ მოთამაშეებს, პირველ რიგში თბილისელთა კაპიტანს ჩივაძეს გამოვყოფდი. იგი გუნდის ნამდვილი ღერძია. მომეწონა, აგრეთვე, ტორპედოელთა მეკარე ჩანოვი, რომელიც უშეცდომოდ მოქმედებდა კარიდან გამოსვლისას. აქვე არ შემიძლია აღშფოთება არ გამოვთქვა მოსკოველთა მცველის კრუგლოვის მიმართ, რომელიც კაპიტნისათვის ძალზე შეუფერებლად იქცეოდა მინდორზე. ეს პირველ რიგში მაყურებლისა და მეტოქისადმი უპატივცემულობაა.

და ბოლოს, კვლავ მინდა ვუთხრა თბილისელთა ქომაგებს, რომ ამ ფრეს გამო გულს ნუ გაიტეხენ. მათ შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, რომელიც კვლავაც გაგვახარებს ლამაზი გამარჯვებებით.

”ლელო”, 4 ივნისი 1981 წ.